585
1963/3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 28 (225) 10 ოქტომბერი 1963 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

### განყოფილება პირველი

423. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

### განყოფილება მეორე

424. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ს. ნ. უშაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

425. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. შურიგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

426. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედიცინის სამსახურის გენერალ-მაიორ ი. რ. პეტროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

427. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობ ბ. ა. ბაბოჩკინისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

428. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. რ. მოსკვიჩოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

429. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამმართველო „სევგიდროსტროის“ იმ მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კოლის ნახევარკუნძულზე კოვდის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის მშენებლობის დროს.

430. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ინჟინერ-კონტრ-ადმირალ ბ. ა. დენისოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

431. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ა. ლ. გეტმანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ი. პალეცკისს რწმუნების სიგელები გადასცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. პშჩულკოვსკიმ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

432. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თელავის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან შ. ი. ჭარელიშვილის გათავისუფლებისა და ახალი მოსამართლის არჩევნების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნაწილი I

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**423 ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ**

ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში 1963 წლის 5 აგვისტოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით, დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილია, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 სექტემბერი.
№ 1713-VI.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**424 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ს. ნ. უშაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქიმიის მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგი ნიკოლოზის ძე უშაკოვი დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 სექტემბერი.
№ 1724-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 425 ამხ. ვ. ა. შურიგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით სკკპ ორენბურგის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ვიქტორ ალექსანდრეს ძე შურიგინი დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 სექტემბერი.
№ 1725-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 426 მედიცინის სამსახურის გენერალ-მაიორ ი. რ. პეტროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით მედიცინის სამსახურის გენერალ-მაიორი იოაკიმ რომანოზის ძე პეტროვი დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 სექტემბერი.
№ 1726-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 427 სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობ ბ. ა. ბაბოჩკინისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობს ბორის ანდრიას ძე **ბაბოჩკინს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 სექტემბერი.
№ 1727-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 428 ამხ. ი. რ. მოსკვიჩოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მარეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ივანე რომანოზის ძე მოსკვიჩოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 სექტემბერი.
№ 1728-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 429 სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამმართველო „სევგიდროსტროის" იმ მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კოლის ნახევარკუნძულზე კოვდის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის მშენებლობის დროს

კოლის ნახევარკუნძულზე კოვდის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის მშენებლობის დროს მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ვადამდე ამოქმედებისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო":

1. ვიქტორ ივანეს ძე გერასიმენკოს — ექსკავატორის მემანქანეს.
2. სიმონ გრიგოლის ძე ცესარსკის — სამმართველო „სევგიდროსტროის" უფროსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ოქტომბერი.
№ 1736-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 430 ინჟინერ-კონტრ-ადმირალ ბ. ა. დენისოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ინჟინერ-კონტრ-ადმირალი ბორის ალექსის ძე **დენისოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ოქტომბერი.
№ 1738-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 431 სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ა. ლ. გეტმანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ლავრენტის ძე **გეტმანი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 4 ოქტომბერი.
№ 1744-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ი. პალეცკისს რწმუნების სიგელები გადასცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. პშჩულკოვსკიმ

ა. წ. 25 სექტემბერს, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. პალეცკისმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ედმუნდ პშჩულკოვსკი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ვ. პაშკოვსკი, სავაჭრო მრჩეველი ვ. სენძივი, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშე ბრიგადის გენერალი ი. ვიდერკოვსკი, მრჩევლები ლ. ვოიტიგა, ს. ბარტაშევიჩი, ლ. ცესლიკი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგის მოადგილე ო. პ. სელიანინოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ი. პალეცკისსა და ე. პშჩულკოვსკის შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარში მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ნ. პ. ფირიუბინმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კოლის ნახევარკუნძულზე კოვდის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის აგებისას მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამმართველო „სევგიდროსტროის" და სხვა ორგანიზაციების 150 მუშა, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებული არიან: ბულდოზერის მემანქანე **გ. პ. ბიგაჩოვი**, ექსკავატორის მემანქანე **მ. ვ. ჟარინოვი**, კუმსკის ჰიდროკვანძის უბნის უფროსი **ვ. პ. მინინი**.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი, **„საპატიო ნიშნის"** ორდენით — 32, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** — 45 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 60 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

## ნაწილი II

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 432 თელავის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან შ. ი. ჭარელიშვილის გათავისუფლებისა და ახალი მოსამართლის არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. გათავისუფლდეს შოთა იოსების ძე **ჭარელიშვილი** თელავის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.
2. დაინიშნოს თელავის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1963 წლის 27 ოქტომბერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 5 ოქტომბერი.